ხაშურის მოამბე

№23 (445) 24 ივნისი, ორშაბათი, 2024 წელი

შიდა ქართლის „ზაფხულის თამაშები - 2024“ დაიწყო

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ თემურ ხუბულურმა მუნიციპალიტეტის მერებთან და სპორტის სამსახურების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას, ასევე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელიც დაესწრო. შეხვედრაზე შეკრებილებმა ,,შიდა ქართლის ზაფხულის თამაშები 2024“-ის მიმდინარეობა განიხილეს. გარდა ამისა, საუბარი შეეხო ეროვნული ოლომპიური კომიტეტთან ერთად დაგეგმილ გარბენს.

„შიდა ქართლის სპორტული თამაშები“ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივით 2022 წლიდან ტარდება და მისი მიზანია რეგიონში სპორტის მხარდაჭერა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ასევე, მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, აქტიური ჩართვა სპორტულ ღონისძიებებში. გასულ წელს, თამაშებში უკვე 5000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. წლევანდელი პროგრამის მიხედვით კი შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთსა და ქართულ ჭიდაობაში გაიმართება.

გარდა ამისა, ეროვნული ოლომპიური კომიტეტთან ერთად დაგეგმილ გარბენში სხვადასხვა ასკობრივ კატეგორიაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცემათ შესაბამისი პრიზები. ოლიმპიურ გარბენში მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიურ-ჩემპიონ პრიზიორები, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და ადგილობრივები. გარბენში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს- „ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა

ახალგაზრდებს შეხვდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, კულტურის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფრუიძე და ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ დამფუძნებელი გიორგი მაჭარაშვილი.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და ახალგაზრდებმა ერთობლივად იმსჯელეს, 12 აგვისტოს-ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქტივობებზე, სხვადასხვა ინიციატივებზე. გამოითქვა მოსაზრება მოხალისეობრივი საზაფხულო-სალექციო სკოლის დაფუძნებასთან დაკავშირებითაც.

შეხვედრისას, ხაზი გაესვა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობას.

დღეს მთელი საქართველოს ყურადღება გერმანიისკენაა მიმართული, სადაც, ფეხბურთში, ევროპის ჩემპიონატი იმართება, რომელშიც საქართველოს ეროვნული გუნდიც მონაწილეობს. ჩვენს ქალაქში რომ ფეხბურთი უზომოდ უყვართ, ამ ფოტოებიდანაც ჩანს. ეროვნული გუნდის გამოსვლას, ქალაქის ცენტრში, ამდენი გუშემატკივარი ადევნებდა თვალს. ამ ყველაფერს კი ორგანიზება მუნიციპალიტეტის მერიამ გაუწია.

იტალიელი სპეციალისტი - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამუშაოდ მოვლინებულია იტალიის ქალაქ ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის დოქტორანტი ადელინა ვოუტრინი.

მისი ვიზიტის მიზანია 2011-2012 წლებში „ქართულ-იტალიური

არქეოლოგიური პროექტის“ მიერ განხორციელებული ექსპედიციის(ხელ-ლი: ვენეციის კა-ფოსკარის უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი ელენა როვა) მიერ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაცარგორის მრავალფენიან ნამოსახლარ გორაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან არქეოზოოლოგიური ნიმუშების შესწავლა საბოლოო პუბლიკაციისთვის. ადელინა ვოუტრინი იმუშავებს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში, აღნიშნული ძეგლის აქ დაცულ სარეზერვო კოლექციაზე, შეისწავლის ადამიანისა და წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლებს და აიღებს ნიმუშებს დნმ-სა და იზოტოპის ანალიზებისთვის.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები მზად არიან გვერდში დაუდგნენ მას ამ მნიშვნელოვანი მისიის განხორციელებაში.

ოსიაურში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დაიწყო

სამუშაოები ითვალისწინებს, როგორც გარე ფასადის რეკონსტრუქციას, ასევე, საკლასო ოთახების, დერეფნებისა და სველი წერტილების მოწყობას.

მიმდინარე სამუშაოებს გაეცვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, პროექტს მთლიანად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო აფინანსებს.

ცხრამუხაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

„ცხრამუხაში არსებული საბავშვო ბაღი ავარიულია, ამიტომაც ახალი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა გადაწყდა. ახალი შენობა, თანამედროვე სტანდარტებს სრულად უპასუხებს, რაც მომავალი თაობების აღზრდა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.“ -აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, ახალი საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელზეა გათვლილი. სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს და ღირებულება, ორ მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

ახალი სპექტაკლი -წაღვლელ და ბროლოსნელ ბავშვებს

მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ხაშურის #7 საჯარო სკოლის თეატრალური სტუდიის მოსწავლეებმა, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, გასვლითი სპექტაკლი - ირმა მალაციძის „სატკბილეთის ქვეყანა“ წარადგინეს გამყოფი ხაზის პირა წაღვლისა და ბროლოსნის საჯარო სკოლებში.

სტუდიის წევრებმა არაჩვეულებრივი ოსტატობით ამოგზაურეს თანატოლები სატკბილეთის ჯადოსნურ ქვეყანაში, ჩართეს თანატოლები ღონისძიებაში და ერთად იმხიარულეს.

წაღვლის თემს ესტუმრნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, სამანდატო კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძე, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს წარმომადგენელი ხატია ლომიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მანანა აბაზაძე, N7 საჯარო სკოლის დირექტორი მანანა მედოიძე.

ღონისძიების ორგანიზატორებმა თემატური საჩუქრებით - ტკბილეულით გაახარეს მოსწავლეები, რისთვისაც მადლობას ვუხდით მხარდამჭერებს სანაყინე „პინოს“ და „ნატიფ ნაზუქს”, აგრეთვე, გადასცეს ლიკა აბრამაშვილის მასალები ხელოვნების გაკვეთილებისთვის. განსაკუთრებული მადლობა გვინდა ვუთხრათ საბავშვო სტუდიის ხელმძღვანელს ნონა ტეფნაძეს, რომელიც ჩვეული პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდება მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს.

სექტემბრიდან პროექტი გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში და ხელს შეუწყობს ბავშვების დამეგობრებას ერთმანეთთან.

ქვიშხეთში, მისასვლელი გზის გასწვრივ გაშენებულ ხეივანში, დაზიანებული ხეების მოჭრის სამუშაოები დასრულდა

სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილეებთან, ზვიად ქურდაძესთან და ზვიად გოგუაძესთან ერთად.

ხაშურის მუნიციპალიტეტმა მიმართა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს და მოითხოვა ქვიშხეთში ვერხვის ხეივნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლა.

სააგენტომ შეისწავლა არსებული მდგომარეობა და მუნიციპალიტეტს გადმოუგზავნა შეფასების კვალიფიციური ანგარიში, რომლის თანახმადაც შავი ვერხვის 169 ინდივიდიდან ადგილზე გამოვლინდა 57 ეგზემპლარი, რომლებიც არ ექვემდებარება გაჯანსაღებას (არასიცოცხლისუნარიანია) და საჭიროებს სანიტარიულ ჭრას.

ამასთან, კვალიფიციური შეფასება შეიცავს რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც, მიზანშეწონილია სანიტარიული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ფართობზე მოხდეს ახალგაზრდა ინდივიდების დარგვა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქარსაფარი ზოლის განახლებასა და მდგრადობას.

რეკომენდაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ქარსაფარი ზოლის განახლებასაც გეგმავს.

ხაშურში ქუჩების ორმოული შეკეთება მიმდინარეობს

სამუშაოები ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" რესურსებით ხორციელდება.

მოსახლეობას ვაცნობებთ, რომ ვინაიდან ქალაქში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტი, რაც გარდაუვალად იწვევს ყველა ქუჩის გადათხრას, მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, ქუჩების ორმოული შეკეთება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის შიდა რესურსებით განხორციელდეს, რათა თავიდან ავირიდოთ დაუსაბუთებელი ხარჯები.

მოქალაქეებს ბოდიშს ვუხდით დისკომფორტისთვის. დიდი იმედი გვაქვს, რომ მოსახლეობა გაგებით მოეკიდება შექმნილ ვითარებას წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე.

მუნიციპალიტეტის მერია

ნაბახტევში ხიდის მშენებლობა უახლოეს მომავალში დასრულდება

„ხიდი, გასული წლის ოქტომბერში, მდინარე ჭერათხევის ადიდების შედეგად ჩამოიშალა. ხაშურის მუნიციპალიტეტმა ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, შუამდგომლობით მიმართა შიდა ქართლის სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციას და წარმოადგინა, ექსპერტიზის დასკვნა, ასევე, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც, ნაბახტევის ხიდის მშენებლობისთვის გამოიყო თანხა. აღსანიშნავია, რომ ნაბახტევის ხიდის ჩამოშლის შემდეგ, მოსახლეობა, სოფელთან დამაკავშირებელი ალტერნატიული ხიდით სარგებლობდა, რაც მათთვის გარკვეულ ბარიერებს ქმნიდა, ამიტომ ძირითადი ხიდის მშენებლობა, მათთვის საყოფაცხოვრებოდ მნიშვნელოვანია." -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ნაბახტევის ხიდის მშენებლობა ფინანსდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებელი ფონდიდან და პროექტის ღირებულება 940 000 ლარს შეადგენს.

სოფელ უწლევში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის ეწყობა

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ადგილზე გაეცვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, პროექტი ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით, საერთო ღირებულება კი 575 000 ლარს შეადგენს.

სოფელ უწლევში მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეკოტაში აქტიურად მიმდინარეობს ასფალტო-ბეტონის გზის მოწყობა

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილეები ზვიად ქურდაძე და ზვიად გოგუაძე. სოფელ ზეკოტაში გზის საფარის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა.

საგზაო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება რაც ჯამში 410 885.66 ლარს შეადგენს.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22)

მეორე დღეს სახლში მოსულა ორი მილიციონერი და დედაჩემისთვის უთქვამთ, თქვენ შავ სიაში ხართ შეტანილი, სხვაგან უნდა გადაგასახლონ, ამ შენობაში მილიცია გადმოდისო. იმავე დღეს, ღამით, ჩუმად მოსულა დედაჩემთან ჩემი ბიძაშვილი ლენტო, რომელიც ,,პრიკაშჩიკად“ მუშაობდა მამაჩემის მაღაზიაში და უთქვამს: - დღეს დილით ორი მილიციონერი მოვიდა მაღაზიაში, სამივე ,,პრიკაშჩიკი“ გამოგვყარეს მაღაზიიდან და გვითხრეს, აქ აღარ დაგინახოთ, თორემ თქვენც მიხას გვერდით დაგსვამთო. გამოგვართვეს მაღაზიის გასაღებები, დაკეტეს და წავიდნენო... ღამით მაღაზიიდან მთელი საქონელი გაიტანეს.

ჩემი ბიძაშვილისგან ვიცი აგრეთვე ისიც, რომ სამი-ოთხი დღის შემდეგ პურის ფული აღარ გვქონია. სასმელ-საჭმელი ნათესავებს მოჰქონდათ თურმე ჩუმათ... მამაჩემის დაღუპვიდან 10-12 დღის შემდეგ დედაჩემთან მოსულა ორი კაცი რაიკომიდან, თუ რაიაღმასკომიდან და უთქვამთ: - თქვენ აღარ გასახლებენ, ბინა თქვენი იქნება, შავსიიდანაც ამოგიღესო. რაც შეეხება სახლიდან წაღებულ ავეჯს და მაღაზიის საქონელს ან მის ღირებულებას ვერ მიიღებთო...

მაშინ მე ვყოფილვარ 10 თვის, უფროსი და ანიკო 11 წლის, უმცროსი და მარგალიტა კი 7 წლის.

1933 წელს გარდაიცვალა დედა. მე უმცროსი დის ოჯახში ვიზრდებოდი. 1941 წლის 28 ივნისს მოხალისედ წავედი სევასტოპოლის საზღვაო სკოლაში. ვიბრძოდი ომში და 1945 წლის 19 ოქტომბერს დემობილიზაციით დავბრუნდი სახლში. მინდა ერთი ამბის მოგონებაც, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მამაჩემი უსამართლოდ არის დახვრეტილი. მაშინ ვიქნებოდი 13-14 წლის. ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა ლენტომ გამაგზავნა ღვინის საყიდლად სანდრო აღაჯანაშვილთან. მაშინ ის ცხოვრობდა დღევანდელი სასტუმრო ,,ივერიის“ გვერდით, რომ ერთსართულიანი სახლი დგას და თურმე კერძოდ ყიდდა ღვინოს. ჩამისხა ბოთლებში ღვინო, ფული რომ მივაწოდე, არ გამომართვა, თურმე მიცნობდა ვინც ვიყავი, გადმოიღო ჭიქა, დაასხა ღვინო და დალია მამაჩემის სადღეგრძელო. მითხრა, მე და მამაშენი მიხა კარგი მეგობრები ვიყავით, მეც მქონდა მაშინ მაღაზია, შედარებით პატარა. რომ გავიგე მამაშენის დაპატიმრება, მაშინვე გავივლე გულში, რომ აქ რაღაც მამაძაღლობას აქვსმეთქი ადგილი, შემეშინდა და მაშინვე გავიქეცი მტკვარგაღმა. აღარ მახსოვს სოფელი თაგვეთი თუ რბონა მითხრა. იქ ვიმალებოდი ათი-თორმეტი დღე და როცა გავიგე, რომ მიხა დაბრუნდაშვილის, მიტუშა აბაშიძის, მოხისის მღვდლის დახვრეტის შემდეგ, მეორე ჯგუფი რომ მიჰყავდათ სერზე დასახვრეტათ, მილიციონერი დადევნებია ცხენით, შუა გზაზე დაწევია მათ და უფროსისთვის უთქვამს: ზემოდან მოვიდა ბრძანება, შეწყვიტეთ ყოველგვარი დახვრეტაო და უკან დაუბრუნებიათ პატიმრები. ამ ამბის გაგების შემდეგ დავბრუნდი სახლში. ჩემთვის არავის მოუკითხია. მითხრა

მინდა ერთი ფაქტის მოგონებაც. ეს მოხდა 1953 თუ 1954 წელს. მე მაშინ მასწავლებლად ვმუშაობდი სოფელ რბონაში. ჩემი და სახლის მშენებლობას ეწეოდა . სკოლიდან პირდაპირ მასთან მივედი. მივედი იმ დროს, როცა მუშას პურს აჭმევდა. მეც დავჯექი მაგიდასთან. ცოტა ხნის შემდეგ მუშა შემეკითხა ვინაობას და როცა ვუთხარი მიხა დაბრუნდაშვილის შვილი ვარ-მეთქი, უცებ წამოვარდა სკამიდან და გაიქცა. სახტად დავრჩით მეც და ჩემი დაც. დამ რამდენჯერმე დაუძახა, მობრძანდით, რაშია საქმეო, მაგრამ მას უკანაც აღარ მოუხედავს. ვერ გავიგეთ რა იყო მიზეზი, არც სახლი ვიცოდით, რომ მიგვეკითხა“.

დახვრეტილთა შორის იყო ნიკო სიხარულიძე - ცნობილი საზოგადო მოღვაწე. იგი XIX ს-ის 90-იანი წლებიდან ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ნიკო გურულის ფსევდონიმით თანამშრომლობდა რევოლუციამდელ ქართულ პერიოდულ პრესასთან („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ბათუმის გაზეთი“, „სახალხო გაზეთი“, „საქართველო“, „სიმართლის ხმა“, „თეატრი და ცხოვრება“, „ერთობა“ და სხვ.). აქვეყნებდა წერილებს თეატრის, განათლების, ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მისი პუბლიცისტიკა გამოირჩევა საქმის ღრმა ცოდნითა და აქტუალურობით. მის ნაწერებში დიდი ადგილი უჭირავს ეროვნულ და სოციალურ თემატიკას. მისი სტატიები და წერილები დღეს წარმოადგენს რაიონის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველ წყაროს.

XIX-XX სს-ის მიჯნაზე ნ. სიხარულიძე გვევლინება ხაშურის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მესვეურად. განუზომელია მისი ღვაწლი რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაში, სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებაში. იყო ხაშურში ქშწკგს-ის ადგილობრივი ორგანიზაციის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1912). იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის დაარსებაში (1908). თანამშრომლობდა ხაშურის თეატრთან (1894-დან), როგორც მსახიობი და რეჟისორი. იყო ხაშურის დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრი (1913-დან). ხაშურის თეატრალურმა საზოგადოებამ 1914 წელს ფართოდ აღნიშნა მისი თეატრალური მოღვაწეობის 20 წლისთავი. ეწეოდა პარტიულ საქმიანობას. იყო რსდმპ ხაშურის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელმძღვანელობდა ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბს (1918-21), ადგილზე აქტიურად თანამშრომლობდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ჩამოშორდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუმცა 1924 წელს, აგვისტოს აჯანყების შემდეგ, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასაიმედო პიროვნება დააპატიმრეს და დახვრიტეს.

* * *

,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დღიდან თავისი დაარსებისა მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და დარწმუნებული იყო, რომ ამის განსახორციელებლად ის შეძლებდა შეიარაღებული გამოსვლის მომზადებას და მოწყობას საქართველოში. ამისთვის დამოუკიდებლობის კომიტეტი იმ პარტიების დახმარებით, რომლებიც მას მიემხრნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას, აიარაღებდა რაზმებს, მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ბიუროს მეოხებით იგი ცდილობდა შეექმნა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში განსაკუთრებით საფრანგეთში და ინგლისში, სათანადო პირობები დახმარების მისაღებად. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რის გამოც ჩვენ დავმარცხდით. მასობრივი ორგანიზებული გამოსვლები, რასაც ჩვენ ველოდით, არ შედგა. ხალხის ფართო მასებმა მხარი არ დაგვიჭირეს და შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედა ფენაში იყო მოგროვილი და მეტწილად ტყეებში გახიზნული. ჩვენი გამოსვლები სინამდვილეში ჩვენდა უნებურად ავანტურად გადაიქცა. ხელისუფლების მხრივ ამას მოჰყვა რეპრესიები. პასუხისმგებლობა მათ გამო ჩვენ გვეკისრება. დამოუკიდებლობის კომიტეტი აღიარებს, რომ ამ გამოსვლის მოწყობით მან შეცდომა დაუშვა, იგი აცხადებს, რომ დღეიდან შეირაღებული ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებული და ქართველი ერისათვის დამღუპველი იქნება. ამის გამო დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს მასში შემავალ ყველა პარტიას და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ შეიარაღებულ რაზმებს, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმსაც წინადადებით: დაუყოვნებლივ ხელი აიღონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლაზე, დაშალონ სავსებით ყველა შეიარაღებული ძალები, იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობისადმი მორჩილებით შეეცადონ შეამცირონ ის უდიდესი უბედურება, რომელიც ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ მოუტანა. დღეიდან დამოუკიდებლობის კომიტეტს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად დაშლილად ვაცხადებთ“.

ეს განცხადება პრესაში ხელნაწერი ტექსტის სახით ამოქვეყნდა. რა თქმა უნდა გარკვეულიმოსაზრებით. ხელისუფლება აგვისტოს აჯანყებას ავანტიურას უწოდებდა. ასე დამკვიდრდა ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც. აჯანყების ხელმძღვანელებიც თავიანთ განცხადებაში აჯანყებას ავანტურას უწოდებენ. ეს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შედეგად გაკეთდა. კოტე ანდრონიკაშვილი მეტეხის ციხეში გერმანელთა დელეგაციასთან საუბარში ამის თაობაზე აღნიშნავდა: ,,აჯანყების დამარცხებასთან ერთად 4 სექტემბერს ჩვენ, მეთაურები დაგვაპატიმრეს. იმ ღამესვე გაგვთოკეს და მივყავდით დასახვრეტად. მაგრამ ამ დროს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ბერიამ (კ. ანდრონიკაშვილი შეცდომით ასახელებს საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ბერიას თავმჯდომარედ) წინადადება მოგვცა, გამოგვეშვა მოწოდება აჯანყებულებისადმი, რომლებიც კიდევ შიგა და შიგ განაგრძობდნენ ბრძოლას, რომ მათ დაეყარათ იარაღი, რათა შეჩერებულიყო უაზრო სისხლის ღვრა და მასიური ხვრეტა, რომელსაც განაგრძობდა ხელისუფლება. თანაც დაუმატა, თუ მოწოდებას გამოვუშვებდით, ხვრეტას შეაჩერებდნენ, მაგრამ ერთის პირობით კი, მომხდარი აჯანყებისათვის უნდა გვეწოდებინა ავანტურა. ჩვენ კარგად ვგრძნობდით ჩვენს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე და გვინდოდა შეგვეჩერებია ასობით უდანაშაულო ხალხის დახვრეტა და უკვე უმნიშვნელო შეტაკებები. აი, ამიტომ დავთანხმდით სიტყვა ავანტურაზე“.

ხელისუფლებას უკვე ძირითადად თითქმის მოთავებული ჰქონდა ანგარიშსწორება აჯანყებულების მიმართ. დახვრეტილი იყო ასობით ადამიანი. თუ როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ როგორც აჯანყებულებს ასევე უდანაშაულოებსაც, კარგად ჩანს ზესტაფონის მაგალითზე, როცა საბარგო ვაგონში ჩახოცეს ტყვიამფრქვევით შეპყრობილი ადამიანები. საქართველოს საგანგებო კომისიაც დიდი მონდომებითა და გულისყურით აწვდიდა საქართველოს მოსახლეობას ანგარიშსწორების ფაქტებს. იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულია საგანგებო კომისიის არაერთი გადაწყვეტილება დახვრეტის შესახებ. სხვადასხვა მონაცემებით ამ დროს დახვრეტილი იყო 980 კაცი (ს. ორჯონიკიძე), სხვა მონაცემებით 3918 კაცი. ასახელებენ 15000 - და ასე შემდეგ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის ზუსტი რიცხვი.

თითქოს ჯერ მთავრობის, ხოლო შემდეგ აჯანყების ხელმძღვანელების განცხადების შემდეგ უნდა შეჩერებულიყო უდანაშაულო ადამიანების დახვრეტები, აჯანყებაც ხომ უკვე ფაქტიურად დამარცხებული იყო. რა თქმა უნდა მასიური დახვრეტები შეჩერდა, მაგრამ შიგადაშიგ მაინც გრძელდებოდა. გრძელდებოდა აგრეთვე გაუთავებელი მიტინგები.

ასე იყო ხაშურის მუნიციპალიტეტშიც.

* * *

5 სექტემბერს გაიმართა ოსიაურისა და ახალსოფლის უპარტიო გლეხთა მიტინგი სოსო ტუსიაშვილის თავმჯდომარეობით და ვასილ ახალკაცის მდივნობით. მიტინგზე მოხსენებით გამოვიდა ალექსანდრე ბუხნიკაშვილი, რომელმაც ,,ნათლად“ დაახასიათა მენშევიკთა მიერ მოწყობილი აჯანყების ,,ანტიხალხური“, ანტისაბჭოთა მიზნები. სიტყვებში გამოსული ი. ურიადმყოფელი, დ. ახალკაცი, შუბითიძე, ქალებიდან ნინა ხუჯაძე ერთსულოვნად გმობდნენ მენშევიკთა მიერ მოწყობილ ,,ანტიხალხურ“ აჯანყებას, ხელნაწერი, გვ.16, ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

გაზეთ ,,კომუნისტში“ გამოქვეყნებულ იფორმაციაში ნათქვამია:

,,5 სექტემბერს სოფელ ოსიაურის და ახალსოფლის უპარტიო გლეხთა მიტინგმა, მოისმინა რა მოხსენებები მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების ავანტურის შესახებ, დაადგინა:

1. მთელი მშრომელი მასის საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ეს ავანტურა მოწყობილია ბატონ მენშევიკების მიერ მღვდლებთან, თავადაზნაურებთან, ჩარჩ-ვაჭრებთან და ყველა არამზადა ბანდიტებთან ერთად.

2. ამისათვის ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა დაუზოგველად გაავლოს მუსრი ამ კონტრრევოლუციონურ ელემენტებს და დასაჯონ ისინი უმაღლესი სასჯელით - დახვრეტით.

3. ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების პირველი დაძახებისთანავე მზად ვართ ჩვენი სისხლით დავიცვათ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი.

4. იმპერიალისტური სახელმწიფოების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მათი საზიზღარი შავი ხელი ვერ შესძლებს ჩვენი ხელისუფლების დამხობას და ჩვენი ერთსულოვანი წინააღმდეგობით საზღვარს დაუდებთ მათ შავ ზრახვებს.

5. მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა თავად-აზნაურობის ნაშთი განადგურებული იქნეს და სამუდამოთ აღიგავოს მათი სინსილა ჩვენ ქვეყნის პირიდან.

ძირს მენშევიკების ავანტურა!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას!“.

იმავე დღეს მიტინგი იმართება ოსიაურის მეზობელ სოფელში - ლუბრუმაში. ოსიაურსა და ლუბრუმაში გამართულ მიტინგების მიერ მიღებული რეზოლუციები ერთმანეთის იდენტურია, ერთი ხელწერაა. ალბათ ერთი და იგივე პირები იყვნენ ოსიაურისა და ლუბრუმის მიტინგების ორგანიზატორები. მაგრამ ლუბრუმელები უფრო შორს მიდიან, თუ მთავრობა არ მიიღებს უსასტიკეს ზომებს, თავად ჩვენ გავუსწორდებით მშრომელი ხალხის მტრებსო.

,,გაეცნო რა საქართველოს კუთხეებში მომხდარ მენშევიკ-თავად-აზნაურულ ავანტურისტულ გამოსვლას, რომელიც მიზნად ისახავდა მუშურ-გლეხური ძალაუფლების დამხობას, სოფელ ლუბრუმისა და მის მახლობელ სოფლების გლეხობის საზოგადო მიტინგი იღებს რა მხედველობაში, რომ ეს გამოლაშქრება იყო შავი რეაქციის უკანასკნელი ცდა თავის ბატონობის აღსადგენათ, რამაც დროებით შეაფერხა საბჭოთა აღმშენებლობა და მშვიდობიანი ცხოვრება და რამაც იმსხვერპლა მრავალი საუკეთესო მუშაკი საბჭოთა ხელისუფლებისა, გადაჭრით მოითხოვს:

1.რათა სამუდამოდ აღმოიფხვრას და განადგურდეს თავად-აზნაურობის და მღვდლების შავი რეაქციონური სინსილა და ჯილაგი, რომ მათი მოსპობით სამუდამოთ მოისვენოს მშრომელმა გლეხობამ და დამშვიდებით შეუდგეს თავის ქვეყნის აღმშენებლობას.

2. მთავრობის მიერ მიღებული ზომები ჩვენი მტრების წინააღმდეგ მიგვაჩნია სრულებით მიზანშეწონილად, მაგრამ მოვითხოვთ კიდევ უფრო უსასტიკეს ზომებს, - დახვრეტით, მათი ქონების ჩამორთმევით და მშრომელ ხალხზე გადაცემით.

3. სამუდამოთ მოისპოს მათი ხსენება მშრომელთა საქართველოში, გაიწმინდოს ყველა დაწესებულება და წითელი არმია საეჭვო ელემენტებისაგან.

4. თუ მთავრობისაგან არ იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები ჩვენი მტრების წინააღმდეგ, იძულებული ვიქნებით საკუთარი ხელით გავჟლიტოთ მშრომელი ხალხის მოუსვენარი მტრები.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

თემურ ბუხნიკაშვილი : - მადლიერი ვარ ხაშურის, რომელმაც საკუთარი გულის კარი გამიღო...

ალბათ, რამხელა დამსახურება უნდა გქონდეს ადამიანს, შენთვის უცნობმა ქალაქმა, საკუთარივით მიგიღოს და შეგიყვაროს-თემურ ბუხნიკაშვილი, უკვე 50 წელია, ჩვენი თანამოქალაქეა, უყვართ და პატივს სცემენ. ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს ქალაქში ვინმე, მის „ოპტიკაში“, ერთხელ მაინც არ იყოს ნამყოფი და თავაზიანი, პროფესიული დახვედრა და რჩევა არ მიეღოს. როგორც ამბობს, მადლობელია ხაშურის, იმ სიყვარულისთვის და პატივისცემისთვის, რასაც მადლიერი პაციენტებისგან ან, უბრალოდ, რიგითი ხაშურელისგან იღებს. კომუნისტების დროს, ხაშურში გაანაწილეს, საქმესთან ოჯახიც დააკავშირა და ძველებური ენთუზიაზმით ემსახურება მისთვის საყვარელ საქმეს.

- ბატონო თემურ, მიუხედავად იმის, რომ ხაშური კარგად გიცნობთ, მაინც, თქვენს შესახებ, არც თუ ბევრი ვიცით.

-დავიწყებ იქიდან, რომ ხაშურელი არ გახლავართ. თბილისში დავიბადე, ტექნიკუმში იქ გავაგრძელე სწავლა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსახდელად, რუსეთში გამიწვიეს. წარჩინებული ვიყავი, მომცეს ლიმიტი და სწავლა რუსეთში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე გავაგრძელე. სწავლის დასრულების შემდეგ, შევცვალე ჩემი სპეციალობა და სამედიცინო მიმართულებით, კერძოდ, ოფთალმოლოგიის კუთხით განვაგრძე სწავლა. სწავლის დასრულების შემდეგ, მშობლიურ თბილისს დავუბრუნდი.

- ხაშურში როგორ მოხვდით?

_მაშინ, ოთარ ნიშნიანიძე იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, მისი ინიციატივით, გადაწყდა, რომ ხაშურში გამოყოფილიყო სივრცე, სადაც მოსახლეობა მიიღებდა სრულფასოვან სამედიცინო სერვისს, ოფთალმოლოგიის კუთხით. შეარჩის ჩემი კანდიდატურა და 1974 წელს, გამოვემგზავრე ხაშურში, საქმიანობის დასაწყებად.

- რა სახის მომსახურებას იღებდა პაციენტი?

-პაციენტის გასინჯვა, მხედველობის ხარისხის შეფასება, სათვალის გამოწერა, მკურნალობის დანიშვნა და შემდეგ, შესაბამისი სათვალის დამზადება. მაშინ ხაშურში, მხოლოდ ერთი ექიმი იყო პარმენ ვეფხვაძე, სამსახურის დასრულების შემდეგ, ყოველდღე მსტუმრობდა, იჯდა, მიყურებდა და ტკბებოდა სამუშაო პროცესით.

- ხაშურმა როგორ მიგიღოთ?

-ხაშურთან მანამდე, არანაირი გადაკვეთა არ მქონია. აქ ჩამოსვლის შემდეგ, მაშინდელმა ადგილობრივმა მთავრობამ, მაქსიმალურად იზრუნა, ყველა პირობა შექმნა ჩემთვის, რომ აქვე დავფუძნებულიყავი და ჩემი გამოცდილება ხაშურისთვის მომეხმარებინა, მომცეს მიწის ნაკვეთი, სახლის ასაშენებლად და სამშენებლო მასალები. აქვე დავოჯახდი, ხაშურელი ცოლი, სამი შვილი გავაჩინეთ და დღეს რომ მკითხო, გიპასუხებთ, რომ ძირძველი ხაშურელი ვარ, იმდენად მადლიერი ვარ იმ უცხო ქალაქის, რომელმაც საკუთარი გულის კარი გამიღო.

- თქვენი აზრით, გარდა პროფესიონალიზმისა, რა იყო მთავარი მიზეზი, რომ ხაშურმა ასე შეგიყვარათ?

-როგორც აღვნიშნე, უცხო ვიყავი ამ ქალაქში, არც გულშემატკივარი მყავდა, არც მოკეთე, მაგრამ არ გამჭირვებია, ადგილობრივების კეთილგანწყობის მოპოვება და ეს ურთიერთობა მოდის დღემდე. მამაჩემი პოლიციის უფროსი იყო, განსაკუთრებული წესიერებით გამზარდა, ისეთი ღირებულებებით, რამაც ცხოვრებაში, ბევრი სიკეთე მომიტანა, თუნდაც ის, რომ უცხო ადამიანი, თავს საკუთარ ოჯახში ვგრძნობ. ერთ წიგნში, სურამელი ქალბატონები წერენ, :შედიხარ ოპტიკას მაღაზიაში და იქ გხვდებათ მომღიმარი და კარგი გულის ადამიანი, ბატონი თემური-ეს ძალიან დიდი სიხარულია ჩემთვის. არასდროს, მხოლოდ მატერიალური ინტერესით არ მიკეთებია ჩემი საქმე, იმაზე დიდი საჩუქარი არაფერია, ვიდრე მადლიერი ადამიანი, რომელიც მიდის ჩემგან. საბჭოთა კავშირის დროს, ხშირად მომმართავდნენ რუსი, უკრაინელი დამსვენებლები. იმ დღეს, ყაზბეგიდან იყო. სამი ქალბატონი, სხვა ქალაქებიდანაც მაკითხავენ.

- საყვარელი საქმის შემდეგ, ოჯახს ვუბრუნდები, სადაც პატარა ბაღი მაქვს, ქათმები მყავს, ძროხებიც, ღორებიც მყავდა-ძალიან მიყვარს ამ გარემოში ფუსფუსიც.

- თუ გავითვალისწინებთ, ხაშურში მომრავლებულ ოფთალმოლოგიურ კლინიკებს, მომართვიანობა ხომ არ შემცირდა?

-პირიქით, არ შემცირებულა პაციენტების მომართვიანობა, მიზეზი, ფინანსურიცაა. გარდა იმის, რომ მენდობიან, კონსულტაციებზე, კვლევებზე, მედიკამენტებზე გაზრდილი ფასები ბევრისთვის არაა მისაღები. ხედავენ, რომ ჩემთან მხოლოდ ფინანსური დაინტერესება არაა, ამიტომ ყოველთვის მყავს მადლიერი პაციენტები. ჩემთან შეგიძლიათ ყველანაირი სათვალის შეკეთება-აღდგენა-ყველანაირი ტექნიკური საშუალება გვაქვს ამის. მხოლოდ შედუღებას ვერ ვაკეთებდი, ოქრომჭედელთან ვგზავნიდი კლიენტებს, დღეს შედუღებასაც ვაკეთებ. გორსაც არ აქვს ასეთი მომსახურებები. 50 წლიანი გამოცდილება მაძლევს იმის კომპეტენციას, გავსინჯო პაციენტი და მივცე შესაბამისი დანიშნულება, გამოვუწერო სათვალე, დავუმზადო

შეკვეთა.

- რამდენი მადლიერი კლიენტი გეყოლებათ...

-ერთი შემთხვევა მახსენდება, კომუნისტების დროს, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, პატარა გოგონა დაზიანდა, დაუზიანდა მხედველობა დარტყმის შედეგ. დაჭირდა ისეთი მინები, რომელსაც მცირე რაოდენობით ამზადებდა მხოლოდ მოსკოვი. ძალიან დიდ დროს მოითხოვდა მისი შოვნა, რიგში დგომა იყო საჭირო. შემთხვევით შემოიარა ბავშვის მამამ, საკმაოდ რთული მინა იყო, ორივე თვალზე, სხვადასხვა მინა იყო საჭირო. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რო ბათუმში გასაგზავნი შეკვეთა, ხაშურში ჩამოვიდა. დღეს ის გოგონა, ჯანმრთელია და ორ შვილს ზრდის-ასეთი ფაქტები, ცოტა არაა და ეს მაბედნიერებს.

- თავიდან რომ ირჩევდეთ თქვენი ცხოვრების გზას, რა არჩევანს გააკეთებდით?

-არაფერს არ შევცვლიდი, თავიდანაც იგივე გზას დავადგებოდი, რაც გავიარე. ყველა ხაშურელს მადლობას ვუხდი ნდობისთვის, მიღებისთვის, მხარდაჭერისთვის.

თ. ჯავახიშვილი

იაპონელი სპეციალისტები ხაშურელ ბავშვებთან იმუშავებენ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ და სააღმზრდელო დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ლელა გელაშვილმა იაპონიიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს - JICA-ს წარმომადგენლებს უმასპინძლეს.

იაპონიის საერთაშორისო ორგანიზაცია პირველად საქართველოში იწყებს პროექტს სკოლამდელი განათლების მიმართულებით. იაპონელი მოხალისეები, კერძოდ კი ოკუპაციური თერაპევტი და აღმზრდელი 2 წლის განმავლობაში ითანამშრომლობენ ხაშურის მუნიციპალუტეტის სკოლამდელ დაწესებულებებთან და გაუზიარებენ გამოცდილებას.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროექტი საქართველოში პირველად ხორციელდება და საქართველოს განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ იაპონური მხარის პარტნიორ ორგანიზაციად ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანება შეირჩა სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსაკუთრებული მიღწევების გამო.

თრიალეთის ქედი, რომელიც სამხრეთიდან აკრავს ჩვენს მუნიციპალიტეტს, წლის ნებისმიერ დროს ულამაზესია.

ნ. კახეთელიძის ფოტო

მიულოცეს შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე

ხაშურში არსებულ მომავლის სახლის ბენეფიციარებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე მიულოცეს.

მომავლის სახლის ბენეფიციარებს, მერიამ კინოთეატრ „ივერია სინემაში“ უმასპინძლა.

აქტივობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურისა და კულტურის ცენტრების გაერთიანების

რომან(ტაღა) ტალახაძის ხსოვნას

უფალი, რომელმაც ადამიანი “სახედ თვისად” შექმნა, ამ ადამიანებს უზენაეს მიზნად ისეთი ცხოვრების წესს უდგენს, რომ მათი განვლილი ცხოვრება ნათელ კვალად დარჩეს მომავალ თაობებს, სწორედ ასეთი წესით იცხოვრა ჩვენმა მეგობარმა და შესანიშნავმა პიროვნებამ, რომან (ტაღა) ტალახაძემ, კაცმა, რომლის სახელი ხაშურის “ივერიის” ისტორიის ნაწილად იქცა. 1967 წელს, სპორტსკოლის დასრულებისთანავე მოვიდა იგი გუნდში და ათი წელი თითქმის უცვლელი გოლკიპერი იყო “ივერიისა”. ყველა იცნობდა ჩვენს ქალაქში, ყველა აფასებდა, ისიც უშურველად გასცემდა სითბოს და სიყვარულს. მის სიტყვას წონაც ჰქონდა და ფასიც. შესანიშნავი ოჯახისცშექმნა და დღეს, მისი შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ იმ გზას, რომელიც მან გაკვალა და აქამდე მოიტანა. რა თქმა უნდა, ოჯახი უპირველესი იყო მისთვის, თუმცა მშობლიური გუნდსაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა და “ივერია” ყოველთვის მისი დიდი სიხარული თუ ტკივილი იყო.

დაგვტოვა კარგმა კაცმა და ერთგულმა მეგობარმა და დაგვიტოვა ის ულამაზესი მოგონებები, რომელიც სამუდამოდაა გულში დავანებული და არასდროს უწერია დავიწყება.

გემშვიდობებით, მეგობარო და მეოხად ვუდგებით უფალს, რომ სანთელ-ნათელი არ მოგაკლოს მარადიულ სასუფეველში.

ვეტერანი ივერიელები
„ხაშურის მოამბის“ რედაქციის
თანამშრომლები, მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.